სწორად მართული სტრატეგიები ბიზნესის წარმატებაში

თეონა ჩაკვეტაძე

სანათა მიქავა

ნათელა ქისტაური

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია გიორგაძე, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2017 წელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის

დეკანს პროფ. ნინო პატარაიას

ამავე უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრანტების

სანათა მიქავა, თეონა ჩაკვეტაძე და ნათელა ქისტაურის

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სანათა მიქავა

თეონა ჩაკვეტაძე

ნათელა ქისატური

26.06.2017

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში სტრატეგიის მნიშვნელობა ისეთივე აქტუალურია, როგორც მრავალი წლის წინ. ყველა ეპოქაში სტრატეგიას ბაზარზე საკუთარი ნიშა გააჩნდა და წლების მატებასთან ერთად სხვა დატვირთვაც შეიძინა.

ბიზნესის კონტექსტში სტრატეგიის იდეა გვთავაზობს ფირმისა და მისი გარემოს სურათის ფართო პლანით ხედვას, რაც ორგანიზაციისათვის წარმატების პერსპექტივას ქმნის. ყველა ორგანიზაციას გააჩნია სისუსტეები, რომელთა დაბალანსება ბიზნეს სტრატეგიებით ხდება. იგი გვეხმარება სამომავლო რისკების შესწავლასა და დაბრკოლებების თავიდან აცილებაში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს სხვადასხვა სტრატეგიის სწორად/არასწორად გამოყენების როგორც საერთაშორისო, ასევე ამ მიმართებით საქართველოში გამოყენებული პრაქტიკები. ნაშრომში განხილულია კომპანიის მხრიდან ბაზარზე თავის დამკვიდრებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობები. შესწავლილია ურთიერთკავშირი კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს სტრატეგიებსა და მის წარმატებულობას შორის. ამასთან, გაანალიზებულია კომპანიის ტოპ მენეჯმენტის მოქმედებები აღნიშნულ სფეროში და გამოვლენილია როგორც წარმატებული, ასევე, მცდარი მეთოდები და შეთავაზებულია ოპტიმალური მიდგომები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სტრატეგია, ბიზნესი, მარკეტინგი, წარმატება, ბაზარი.

Abstract

In the modern world, an importance of having the right strategy remain to be indispensable. In all era, a strategy has had its niche on its market that later on has gained much wider meaning.

Business strategy offers us to see the wider picture of the organizational processes, which is the reason of successful business. All organizations have weaknesses, which are balanced by business strategy. It helps individuals in risk assessment in order to overcame the obstacles.

The main purpose of this research is to analyze various Georgian and international business strategy practices, including failures. The master thesis presents the ways of stating up business with its implementation processes and prospects. Furthermore, this paper shows the connection between business strategies and final success of the companies that has been used during the business processes. In addition, in this master thesis there are analyzes based on primary interviews with the leading companies top management, that share their own experience about the methodology and approach used during the business strategies.

Key words: strategy, business, marketing, success, market.